N 201 11/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სპარტაკ კვაჭაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად , ის მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში, ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე.

მონაწილეობა მივიღე 24 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დავესწარი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას 5-ჯერ, ჩავატარე ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების “ ფრაქციის სხდომას 5-ჯერ.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

პერიოდულად შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშუალოდ სოფელში, ვისმენდი მათ პრობლემებს და ვცდილობდი მაქსიმალურად მათ მოგვარებას.

ასევე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, გაცნობებთ, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა და წლევანდელ წელს მიმდინარეობს წერტილოვანი შეწამვლები.

მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და დახმარებებზე, რომელიც ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა, როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, კვაჭაძეების უბანში, რომელი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს გაკეთდა გზა 18 000 ლარის ღირებულების;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ჯურუყვეთში გაკეთდა გარე განათების 53 სანათი 12 ახალი ბოძით, ჯამში 15 600 ლარის ოდენობით;
- სოფელ ეწერზე 35 სანათი 11 ახალი ბოძით 12 000 ლარის ოდენობით;
- სოფელ ბაღლეფში 19 სანათი, 19 ახალი ბოძით 12000 ლარის ოდენობით;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა 225 256 ლარის ღირებულების წყლის პროექტი, რომელიც მოიცავს 214 ოჯახს.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გავუწიე 21 ბენეფიციარს, როგორც მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის სარგებლობით ისე გადაუდებელი საოპერაციო ხარჯის დაფინანსებაზე, კერძოდ: ოპერაცია 29 ბენეფიციარი 7560 ლარი, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართული ორი ბენეფიციარი ფინანსდება გზის ხარჯით, 2018 წელს მედიკამენტური დახმარება გაეწია 21 ბენეფიციალს 3367 ლარით. სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეცა 2 ოჯახს 700 ლარის ოდენობით.

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 21 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა(სახლის სახურავი).

რაც შეეხება 2019 წელს სოფელ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა გარემონტება.

მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას **საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი** უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისათვის.

სპარტაკ კვაჭაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველები"